განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი

14/07/2026

MES 9 26 0000926892

ბრძანება

თბილისი

სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „2025 წლის 17 დეკემბრამდე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული პირების სწავლის დაფინანსების წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2026 წლის 15 იანვრის №3 დადგენილების პირველი მუხლის მე-7-მე-15 პუნქტებისა და ამავე მუხლის მე-20-22-ე პუნქტების, „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 26 დეკემბრის №524 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“, „თ“ და „ლ“ ქვეპუნქტების, „სამართლებრივი აქტების პროექტების შემუშავების მიზნით ინიციატივების/პროექტების წარმოდგენის წესისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 15 იანვრის №28880 ბრძანების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილის 2026 წლის პირველი ივლისის №835491 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სოციალური პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა სწავლის დაფინანსების მიზნით, დამტკიცდეს:

ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა, სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსების წესი და პირობები ამ ბრძანების დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე მაგისტრატურის აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა, სოციალური პროგრამის ფარგლებში, დაფინანსების წესი და პირობები ამ ბრძანების დანართი №2-ის შესაბამისად;

გ) სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად, საჭირო დოკუმენტების ნუსხა ამ ბრძანების დანართი №3-ის შესაბამისად;

დ) სოციალური პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო სასწავლო/სასწავლო სამაგისტრო გრანტის მოსაპოვებლად, განცხადების ელექტრონული რეგისტრაციისა და განხილვის წესი ამ ბრძანების დანართი №4-ის შესაბამისად.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის მინისტრი
გივი მიქანაძე